ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ო

ოქმი N3

ხარაგაული

24 ნოემბერი 2021 წელი

სხდომის დაწყების დრო: 15 საათი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი წევრები:

1.ლალი სებისკვერაძე

2.მაკა ქასრაშვილი

3. ვალერი გოგნაძე

4. როლანდი ცუცქირიძე

5.ნატო შათირიშვილი

6.რევაზ შერგელაშვილი

7.ავთანდილ კვინიკაძე

8.ჰამლეტ ბერაძე

9.მარიკა ხარატიშვილი

10.მანანა ტაბაშიძე

11. ნინო ჭიპაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი . მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე.

მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი და სახაზინო - საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსი, ნინო მაღლაკელიძე.

სხდომის თავმჯდომარე: სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე.

სხდომის მდივანი : სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ, ვალერი გოგნაძემ.მან სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ბიუჯეტის პროექტის გაცნობა მერის მრჩეველთა საბჭოსთვის. 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები ინფრასტრუქტურის, სოციალური სფეროს , ჯანდაცვის, განათლების და კულტურის კუთხით.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხრე:11

წინააღმდეგი:0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საკითხი 1. მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ბიუჯეტის პროექტის გაცნობა მერის მრჩეველთა საბჭოსთვის. 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები ინფრასტრუქტურის, სოციალური სფეროს , ჯანდაცვის, განათლების და კულტურის კუთხით.მომხსენებელი მერის პირველი მოადგილე ვალერი ჭიპაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ საკრებულომ 2021 წლის 25 ნოემბერს უნდა დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, მრჩეველთა საბჭო ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი ბიუჯეტი.მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვისას არ იქნება არამიზნო

2022 წლიდანსხვა ძირითად საკითხებთან ერთად პრიორიტეტულია ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა,გენდერულ ჭრილში მრავალშვილიანებზე მარტოხელა დედების დახმარება,სხვადასხვა ინფრასტრუქრურული პროექტები,ისეთები როგორიცაა, მაგალითად: ჭაბურღილების მოწყობა,სოფელ ხუნევში საბავშვო ბაღის მშენებლობა და სხვა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ბიუჯეტის მიღებისას დავიცვათ გამჭვირვალობა, რადგან ეს მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტია და მისი შედგენისას მნიშვნელოვანია მოვისმინოთ საზოგადოების ხმა. სწორედაც საზოგადოებას წარმოადგენენ საბჭოს წევრები , რომლებიც თავიანთ სფეროში კომპეტენტური ადამიანები არიან და აქტიურად თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის მერთან და მერიასთან.

პოზიტიური საკითხი რაც 2022 წლის ბიუჯეტში ხორციელდება არის სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვა.სადაც ნათლად ჩანს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა. შვიდმა პროექტმა მოიპოვა გამარჯვება და აღნიშნული პროექტები განხორციელდება.
მერის მოადგილემ დაწვრილებით ისაუბრა ბიუჯეტის თვითეულ პუნქტზე და საბჭოს წევრებს დაწვრილებით მიაწოდა ინფორმაცია.

აზრი გამოთქვა: ვალერი გოგნაძემ დასვა შეკითხვა, თუ არ შესრულდა ბიუჯეტი, თანხა რჩება თუ არა სოფელს შემდგომი პროექტებისათვის, რაზეც მერის მოადგილისგან მიიღო უარყოფითი პასუხი,პროექტებზე განსაზღვრული თანხა მიზნობრივად უნდა გაიხარჯოს.

აზრი გამოთქვა: ჰამლეტი ბერაძემ დასვა შეკითხვა ბორის სკოლა პანსიონის თანამშრომელთა ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით,რაზეც განმარტება გააკეთა მერიის სახაზინო - საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა, ნინო მაღლაკელიძემ ,მან აღნიშნა, რომ გვიჭირს ამ საკითხის მოგვარება,რადგან რთულია რაიმე ჩარჩოებში მოქცევა, ვინაიდან ასეთი სამსახური არსად არ არის.
აზრი გამოთქვა: მანანა ტაბაშიძემ იკითხა უფასო სასადილოს დაფინანსებასთან დაკავშირებით რაზეც პასუხი გასცა ბატონმა ვლადიმერ გელაშვილმა,მან აღნიშნა, რომ უფასო სასადილოს დაფინანსება 130000 ლარითაა გაზრდილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან . დაკავშირებით სხდომა შეწყდა.

სხდომის დასრულების დრო 17 საათი

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ვ. გოგნაძე /ვ.გოგნაძე/
მრჩეველთა საბჭოს მდივანი: ნ. შათირიშვილი /ნ. შათირიშვილი/